შპს სახალხო აფთიაქი

საიდენტიფიკაციო კოდი 202230157

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

სარჩევი:

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

კონსოლიდირებული მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....3

კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 4

კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 5

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია---------- 6
2. სააღრიცხვო პოლიტიკა---------- 6
3. ამონაგები---------- 14
4. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება---------- 14
5. კომერციული ხარჯები---------- 15
6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები---------- 15
7. ფინანსური ხარჯი---------- 16
8. ძირითადი საშუალებები----------16
9. არამატერიალური აქტივები----------16
10. მარაგები----------17
11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები----------17
12. ფული და ფულის ექვივალენტები----------17
13. სესხები----------18
14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები----------18
15. პირობითი ვალდებულებები----------18
16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები----------19

სახალხო აფთიაქი

კონსოლიდირებული მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	Note	2020	2019	2018
შემოსავალი	3	5,992,607	8,404,805	17,716,499
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	4	(4,599,865)	(6,074,487)	(13,574,886)
საერთო მოგება		**1,392,741**	**2,330,318**	**4,141,613**
კომერციული ხარჯები	5	(1,682,694)	(2,885,180)	(4,432,293)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(717,652)	(1,375,484)	(1,489,470)
საოპერაციო მოგება		**(1,007,606)**	**(1,930,346)**	**(1,780,150)**
სხვა ხარჯები		50,775	(96,283)	(167,008)
წმინდა ფინანსური ხარჯი	7	(360,000)	(242,986)	(221,341)
წმინდა მოგება კურსთაშორის სხვაობიდან		(334,217)	(290,590)	(86,627)
ზარალი დაბეგვრამდე		**(1,651,048)**	**(2,560,205)**	**(2,255,126)**
მოგების გადასახადის ხარჯი			-	-
წმინდა ზარალი		**(1,651,048)**	**(2,560,205)**	**(2,255,126)**
სხვა სრული შემოსავალი		**587,677**	**(169,155)**	-
წლის სრული ზარალი		**(1,063,371)**	**(2,729,360)**	**(2,255,126)**
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკ. მოგება-ზარალი		**(1,063,362)**		
არამაკონტროლებელის წილის მფლობელებზე მისაკ. მოგება-ზარალი		**(9)**		
		(1,063,371)	**(2,729,360)**	**(2,255,126)**

დირექტორი ---------- პაპუნა ტოლიაშვილი

ფინანსური დირექტორი ---------- თამარ ყაჯრიშვილი

სახალხო აფთიაქი

კონსოლიდირებული მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ლარში)

	Note	2020	2019	2018
შემოსავალი	3	5,992,607	8,404,805	17,716,499
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	4	(4,599,865)	(6,074,487)	(13,574,886)
საერთო მოგება		**1,392,741**	**2,330,318**	**4,141,613**
კომერციული ხარჯები	5	(1,682,694)	(2,885,180)	(4,432,293)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(717,652)	(1,375,484)	(1,489,470)
საოპერაციო მოგება		**(1,007,606)**	**(1,930,346)**	**(1,780,150)**
სხვა ხარჯები		50,775	(96,283)	(167,008)
წმინდა ფინანსური ხარჯი	7	(360,000)	(242,986)	(221,341)
წმინდა მოგება კურსთაშორის სხვაობიდან		(334,217)	(290,590)	(86,627)
ზარალი დაბეგვრამდე		**(1,651,048)**	**(2,560,205)**	**(2,255,126)**
მოგების გადასახადის ხარჯი			-	-
წმინდა ზარალი		**(1,651,048)**	**(2,560,205)**	**(2,255,126)**
სხვა სრული შემოსავალი		**587,677**	**(169,155)**	-
წლის სრული ზარალი		**(1,063,371)**	**(2,729,360)**	**(2,255,126)**

დირექტორი ---------- პაპუნა ტოლიაშვილი

ფინანსური დირექტორი ---------- თამარ ყაჯრიშვილი

სახალხო აფთიაქი

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარში)

	Note	31/12/20	31/12/19	31/12/18
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	8	1,720,497	1,158,846	1,246,150
არამატერიალური აქტივები	9	(0)	0	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		**1,720,497**	**1,158,846**	**1,246,150**
მიმდინარე აქტივები				
მარაგები	10	300,867	660,456	2,517,150
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	210,901	854,960	808,347
ფული და ფულის ეკვივალენტები	12	62,211	88,200	251,836
სულ მიმდინარე აქტივები		**573,979**	**1,603,616**	**3,577,333**
სულ აქტივები		**2,294,476**	**2,762,462**	**4,823,483**
ვალდებულებები და კაპიტალი				
კაპიტალი			-	
საწესდებო კაპიტალი		5,069,250	5,069,250	5,069,250
დაგროვილი ზარალი		(14,114,476)	(13,051,106)	(10,321,746)
სულ კაპიტალი		**(9,045,226)**	**(7,981,856)**	**(5,252,496)**
გრძელვადიანი ვალდებულებები				
სესხები		-	-	-
სახელშეკრულებო ვალდებულება	14	-	-	1,057,086
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**-**	**-**	**1,057,086**
მიმდინარე ვალდებულებები				
ანარიცხები		205,902	205,902	205,902
სესხები	13	2,957,553	2,063,249	1,399,430
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	8,176,247	8,475,166	7,413,561
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**11,339,702**	**10,744,317**	**9,018,893**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**2,294,476**	**2,762,462**	**4,823,483**

დირექტორი ---------- პაპუნა ტოლიაშვილი

ფინანსური დირექტორი ---------- თამარ ყაჯრიშვილი

სახალხო აფთიაქი

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარში)

	Note	31/12/20	31/12/19	31/12/18
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	8	1,720,497	1,158,846	1,246,150
არამატერიალური აქტივები	9	(0)	0	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		**1,720,497**	**1,158,846**	**1,246,150**
მიმდინარე აქტივები				
მარაგები	10	300,867	660,456	2,517,150
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	210,901	854,960	808,347
ფული და ფულის ეკვივალენტები	12	62,211	88,200	251,836
სულ მიმდინარე აქტივები		**573,979**	**1,603,616**	**3,577,333**
სულ აქტივები		**2,294,476**	**2,762,462**	**4,823,483**
ვალდებულებები და კაპიტალი				
კაპიტალი			-	
საწესდებო კაპიტალი		5,069,250	5,069,250	5,069,250
დაგროვილი ზარალი		(14,114,476)	(13,051,106)	(10,321,746)
სულ კაპიტალი		**(9,045,226)**	**(7,981,856)**	**(5,252,496)**
გრძელვადიანი ვალდებულებები				
სესხები		-	-	-
სახელშეკრულებო ვალდებულება	14	-	-	1,057,086
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**-**	**-**	**1,057,086**
მიმდინარე ვალდებულებები				
ანარიცხები		205,902	205,902	205,902
სესხები	13	2,957,553	2,063,249	1,399,430
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	8,176,247	8,475,166	7,413,561
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**11,339,702**	**10,744,317**	**9,018,893**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**2,294,476**	**2,762,462**	**4,823,483**

დირექტორი ---------- პაპუნა ტოლიაშვილი

ფინანსური დირექტორი ---------- თამარ ყაჯრიშვილი

სახალხო აფთიაქი

კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ
31 დეკემბერი 2018 წელი	5,069,250	(10,321,746)	(5,252,496)
ზარალი	-	(2,729,360)	(2,729,360)
31 დეკემბერი 2019 წელი	5,069,250	(13,051,106)	(7,981,856)
ზარალი		(1,063,283)	(1,063,283)
ზარალი		(87)	(87)
31 დეკემბერი 2020 წელი	**5,069,250**	**(14,114,476)**	**(9,045,226)**

დირექტორი ---------- პაპუნა ტოლიაშვილი

ფინანსური დირექტორი ---------- თამარ ყაჯრიშვილი

სახალხო აფთიაქი

კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ
31 დეკემბერი 2018 წელი	5,069,250	(10,321,746)	(5,252,496)
ზარალი	-	(2,729,360)	(2,729,360)
31 დეკემბერი 2019 წელი	5,069,250	(13,051,106)	(7,981,856)
ზარალი		(1,063,283)	(1,063,283)
ზარალი		(87)	(87)
31 დეკემბერი 2020 წელი	**5,069,250**	**(14,114,476)**	**(9,045,226)**

დირექტორი ---------- პაპუნა ტოლიაშვილი

ფინანსური დირექტორი ---------- თამარ ყაჯრიშვილი

სახალხო აფთიაქი

კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	Note	2020	2019	2018
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან				
მოგება დაბეგვრამდე		**(1,063,371)**	**(2,729,360)**	**(2,255,126)**
ძირ. საშუალებების კორ		(135,393)	32,273	
წმინდა ფინანსური ხარჯი	7	(360,000)	242,986	221,341
ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან		(13,807)	1,542	3,301
მარაგების ჩამოწერა		58,316	454,818	157,281
მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	11	(17,115)	(78,752)	103,853
ცვეთა და ამორტიზაცია	8	110,581	98,077	141,729
ვალდებულების აღიარების შესყიდვა		-		-
წმინდა მოგება/ზარ. საკურსო სხვაობიდან		331,776	65,195	86,627
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან სა		**(1,089,012)**	**(1,913,221)**	**(1,540,994)**
ცვლილება სამუშაო კაპიტალში			-	
მარაგების (ზრდა)/შემცირება		**363,336**	1,401,876	878,224
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების (ზრდა)/შემცირება		**622,892**	206,777	126,280
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/(შემცირებ		**(305,044)**	4,519	(606,611)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		**(407,828)**	**(300,049)**	**(1,143,101)**
გადახდილი პროცენტები	13		(59,552)	(53,497)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობ		**(407,828)**	**(359,601)**	**(1,196,598)**
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან				
მიღებული პროცენტები			-	-
ძირითადი საშუალებების შეძენისთვის გასული თანხ		**(4,370)**	(10,773)	(73,468)
ძირითადი საშუალებებისა გასვლით მიღებული ფუ		**8,104**	-	-
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანი		**3,734**	**(10,773)**	**(73,468)**
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან				
სესხების აღება	13	**402,185**	290,858	1,485,976
სესხების დაფარვა	13	**(24,080)**	(84,120)	(141,265)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობი		**378,105**	**206,738**	**1,344,711**
წმინდა ზრდა ფულსა და ფულის ეკვივალენტებში		**(25,989)**	**(163,636)**	**74,645**
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისშ	12	**88,200**	**251,836**	**177,191**
კურსთაშორისი სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის		**-**		-
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოსთვ	**12**	**62,211**	**88,200**	**251,836**

დირექტორი ---------- პაპუნა ტოლიაშვილი

ფინანსური დირექტორი ---------- თამარ ყაჯრიშვილი

სახალხო აფთიაქი

კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	Note	2020	2019	2018
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან				
მოგება დაბეგვრამდე		**(1,063,371)**	**(2,729,360)**	**(2,255,126)**
ძირ. საშუალებების კორ		(135,393)	32,273	
წმინდა ფინანსური ხარჯი	7	(360,000)	242,986	221,341
ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან		(13,807)	1,542	3,301
მარაგების ჩამოწერა		58,316	454,818	157,281
მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	11	(17,115)	(78,752)	103,853
ცვეთა და ამორტიზაცია	8	110,581	98,077	141,729
ვალდებულების აღიარების შესყიდვა		-		-
წმინდა მოგება/ზარ. საკურსო სხვაობიდან		331,776	65,195	86,627
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან სა		**(1,089,012)**	**(1,913,221)**	**(1,540,994)**
ცვლილება სამუშაო კაპიტალში			-	
მარაგების (ზრდა)/შემცირება		**363,336**	1,401,876	878,224
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების (ზრდა)/შემცირება		**622,892**	206,777	126,280
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/(შემცირებ		**(305,044)**	4,519	(606,611)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		**(407,828)**	**(300,049)**	**(1,143,101)**
გადახდილი პროცენტები	13		(59,552)	(53,497)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობ		**(407,828)**	**(359,601)**	**(1,196,598)**
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან				
მიღებული პროცენტები			-	-
ძირითადი საშუალებების შეძენისთვის გასული თან		**(4,370)**	(10,773)	(73,468)
ძირითადი საშუალებებისა გასვლით მიღებული ფუ		**8,104**	-	-
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიან		**3,734**	**(10,773)**	**(73,468)**
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან				
სესხების აღება	13	**402,185**	290,858	1,485,976
სესხების დაფარვა	13	**(24,080)**	(84,120)	(141,265)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობი		**378,105**	**206,738**	**1,344,711**
წმინდა ზრდა ფულსა და ფულის ეკვივალენტებში		**(25,989)**	**(163,636)**	**74,645**
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისშ	12	**88,200**	**251,836**	**177,191**
კურსთაშორისი სხვაობის გავლენა ფულსა და ფული		**-**		**-**
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოსთვ	**12**	**62,211**	**88,200**	**251,836**

დირექტორი ---------- პაპუნა ტოლიაშვილი

ფინანსური დირექტორი ---------- თამარ ყაჯრიშვილი

შპს სახალხო აფთიაქი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „სახალხო აფთიაქი“ (შემდგომში მშობელი კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაარსდა 2004 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, გლდანი-ნაძალადევი, ფეიქრების ქუჩა #12. კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის ფარმაცევტული პროდუქტების, პირადი ჰიგიენის და ბავშვთა მოვლის ნივთების საცალო და საბითუმო ვაჭრობა თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში.

შპს „სახალხო აფთიაქი“-ს წილების გადანაწილება 2020, 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2019	31.12.2018
შპს ნიუკომ ესოშიეიშენ ლიმითედი		-	15%
მარინა ზენაიშვილი	10%	10%	10%
კაპიტალში შენატანის წილი - ბესიკ კვირკვია	15%	15%	10%
ირინა ქურჩიშვილი		-	5%
ნინა კვარაცხელია		-	5%
თეიმურაზ არონია		20%	
ტიტიკო ძაპტაშვილი		5%	5%
შპს სახალხო აფთიაქის განვითარების ფონდი	50%	50%	50%
სს სახალხო აფთიაქი სინერჯი	25%		
სულ	**100%**	**100%**	**100%**

2020 წლის 23 ივლისს შპს სახალხო აფთიაქმა დააფუძნა ახალი კომპანია წალკის რეგიონში- შპს სახალხო აფთიაქი წალკა, სადაც ფილიალის მენეჯერი გახდა წილის მფლობელი და დირექტორი ახალ დაფუძნებულ კომპანიაში. წილები გადანაწილდა შემდეგნაირად:

	31.12.2020
შპს სახალხო აფთიაქი	90%
თამარი იაგანაშვილი	10%
სულ	**100%**

2. სააღრიცხვო პოლიტიკა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.
წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს

სტანდარტები) შესაბამისად. მსს ფასს სტანდარტზე გადასვლის ცვლილება განხორციელდა 2019 წლის 1 იანვრიდან.

შეფასების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე, იმის დაშვებით, რომ ჯგუფი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ჯგუფის ხელმძღვანელობასა და დამფუძნებელს სურვილი აქვთ განავითარონ ბიზნეს საქმიანობა საქართველოში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია ჯგუფისთვის. 2020 წლის პერიოდში ჯგუფს ჰქონდა წმინდა ზარალი და უარყოფითი ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან. ხელმძღვანელობა პოზიტიურად აფასებს მომდევნო 12 თვის პროგნოზს და მიაჩნია, რომ საპროგნოზო მომავალში დაგეგმილი ქმედითი ნაბიჯებით ხელმძღვანელობა შეძლებს პოზიტიური ფინანსური დინამიკის მიღწევას.

ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

ოპერაციებში ჯგუფი ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად ჯგუფი იყენებს ქართულ ლარს.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები საწყისად აღიარდება ოპერაციის დღის კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა ან ზარალის ანგარიშებზე.

2020, 2019 და 2018 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების

კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	დოლარი	ევრო	ფუნტი
კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3.2766	4.0233	4.4529
კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8677	3.2095	3.7593
კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6766	3.0701	3.3955

ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

ჯგუფი აღიარებს ამონაგებს დაპირებული საქონლისა და მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც ჯგუფი მოელის ამ საქონლისა და მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. ჯგუფი იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებლებთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

ჯგუფი ამონაგებს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე/მომსახურებაზე "კონტროლი" მომხმარებელს გადაეცემა.

შესასრულებელი ვალდებულება და ამონაგების აღიარების დროულობა

ჯგუფი ამონაგების ძირითად ნაწილს იღებს სამედიცინო და არასამედიცინო პროდუქციის გაყიდვიდან, რომელიც აღიარდება დროის გარკვეულ მომენტში, მაშინ როცა ხდება მოცემულ საქონელთან დაკავშირებული კონტროლის მომხმარებლისთვის გადაცემა. კონტროლის გადაცემა ძირითადად ხდება, როცა საქონელი გადაეცემა მომხმარებელს. კონტროლი შესაძლოა გადავიდეს მომხმარებელზე, როგორც გაგზავნის ისე მიღების ადგილას, რომელიც განსაზღვრულია მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. კონტროლის გადაცემის მომენტის განსაზღვრისთვის ჯგუფი ეყრდნობა შემდეგ მსჯელობას: როგორც კი საქონელი მივა შეთანხმებულ ადგილზე, ჯგუფს აღარ გააჩნია მოცემულ საქონელზე მფლობელობის უფლება, რომელიც ამასთანავე წარმოქმნის ფულადი სახსრების მიღების უფლებას და მოცემული საკითხი არ არის დაკავშირებული მნიშვნელოვან რისკებთან.

სახელშეკრულებო ღირებულების განსაზღვრა

კომპანიის ამონაგების ძირითადი სახელშეკრულებო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული ხელშეკრულებიდან მისაღები ამონაგების განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით.

შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება

კომპანიის ხელშეკრულებების უმეტესი ნაწილი არის ფიქსირებულფასიანი. ჯგუფი მთლიან სახელშეკრულებო ფასს თითოეულ შესასრულებელ მოვალეობაზე ანაწილებს მათი ინდივიდუალური გასაყიდი ფასის მიხედვით.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც ჯგუფი გამოაცხადებს დივიდენდს. საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ჯგუფი იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისთვის. ჯგუფის საკუთრებაში არსებულ მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობას ცვეთა არ ერიცხევა.

ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობები	30
ავეჯი და სხვა აღჭურვილობა	5
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	7
სატრანსპორტო საშუალებები	10

სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად. ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და ჩაირთვება მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების სასრული ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო გამოყენების ვადაზე. სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადა და ამორტიზაციის მეთოდი გადაიხედება ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს და ნებისმიერი შეტანილი ცვლილების ეფექტი აღირიცხება პერსპექტიულად. არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების უსასრულო ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი გაუფასურების ზარალი. სასარგებლო მომსახურების განუსაზღვრელი ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ვადებისა და მეთოდების გადახედვა ხდება მინიმუმ ყოველი საანგარიშგებო წლის ბოლოს. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა შეადგენს 2-15 წელს. არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი.

მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ჯგუფი გადახედავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, ჯგუფი აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ არსებობს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი, კორპორაციული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ცალკეულ ერთეულებზეც, ან

სხვა შემთხვევაში, ისინი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი.

განუსაზღვრელი სასარგებლო გამოყენების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები, ან ის არამატერიალური აქტივები, რომლებიც გამოყენებისთვის ჯერ არ არის ხელმისაწვდომი, გაუფასურების გამოსავლენად მოწმდება მინიმუმ წელიწადში ერთხელ, და აგრეთვე მაშინ, როდესაც აქტივის გაუფასურების ნიშნები არსებობს. ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები. თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში. თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ზარალის შებრუნების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის,გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით. მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი ამონაგები. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე. გასაყიდად გამიზნული მარაგების გაყიდვის თვითღირებულება გამოითვლება შესაბამისი პარტიის ინდივიდუალური დანახარჯებით. სხვა მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას.

ფინანსური აქტივი ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი სახეობაა.

ჯგუფი ფინანსური აქტივების სახით ფლობს, მსს ფასს 11 განყოფილების „ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტების“ თანახმად, შემდეგ ძირითად ფინანსურ ინსტრუმენტებს:

ა) რეზიდენტი ბანკების საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებს;

და

ბ) 3 თვემდე მოთხოვნამდე და 12 თვემდე ფიქსირებულვადიანი დეპოზიტების საბანკო ანგარიშებს რეზიდენტ ბანკებში.

ჯგუფი განსაზღვრავს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას ჯგუფების მიხედვით.

ჯგუფი იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ საწარმო ხდება სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

თავდაპირველად ფინანსური აქტივები ფასდება თვითღირებულებით. ფინანსური აქტივების თვითღირებულება არის ოპერაციის/გარიგების ფასი გარიგების დანახარჯების ჩათვლით.

ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც, აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს გასდის ვადა.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა ჯგუფში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფს აქვს რწუმენება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიებში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე

დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები

ჯგუფი რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.

სასამართლო დავები

ჯგუფი ყოველი საანგარიშგებო პერიოდისათვის განიხილავს მიმდინარე სასამართლო დავების სამართალწარმოებას, რათა შეაფასოს ანარიცხის საჭიროება და განმარტოს ფინანსურ ანგარიშგებაში. ანარიცხების შეფასებისას ჯგუფი ითვალისწინებს სასამართლო პროცესის მიმდინარეობას, საკანონმდებლო მოთხოვნებს, ზარალის მოსალოდნელ ოდენობას, იურისტების და შესაბამისი სფეროს სპეციალისტების მოსაზრებას, მსგავსი დავების პრაქტიკულ შედეგებს.

ფინანსური ვალდებულებები

მიზნიდან გამომდინარე, ჯგუფი მის ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. ჯგუფს ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს სხვა ფინანსური ვალდებულებების“ კატეგორიაში. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთჩახურვა

ჯგუფი ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ურთიერთჩახურვას მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და ჯგუფი გეგმავს ანგარიშწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

საწესდებო კაპიტალი

ჯგუფისს საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიების წესდებით. კომპანიების წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

დივიდენდები

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე გამოქვეყნებული დივიდენდები განიმარტება ბალანსის შემდგომ მოვლენებში.

შპს სახალხო აფთიაქი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

3. ამონაგები (კონსოლიდირებული)

მშობელი კომპანიის რეალიზაცია მოცემულია სრული კალენდარული 2020 წლის განმავლობაში. შპს სახალხო აფთიაქი წალკა-მ სააფთიაქო პროდუქტების რეალიზაცია 2020 წლის 24 დეკემბერს დაიწყო.

ამონაგები 2020, 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019	2018
ამონაგები პროდუქციის საცალო რეალიზაციიდ	5,947,193	7,832,177	15,995,286
ამონაგები პროდუქციის საბითუმო რეალიზაცი	45,413	572,628	1,721,213
სულ:	5,992,607	8,404,805	17,716,499

4. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება (კონსოლიდირებული)

გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება 2020, 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019	2018
გაყიდული საქონლის თვითღირებულება-საცაც	(4,538,903)	(5,628,682)	(12,256,044)
გაყიდული საქონლის თვითღირებულება-საბიც	(48,310)	(445,805)	(1,318,842)
სულ:	(4,587,213)	(6,074,487)	(13,574,886)

5. კომერციული ხარჯები (კონსოლიდირებული)

კომერციული ხარჯები 2020, 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019	2018
სახელფასო ხარჯი	(869,967)	(1,572,919)	(2,743,860)
იჯარის ხარჯი	(430,942)	(713,832)	(975,787)
სხვა ხარჯები	(140,976)	(233,104)	(101,554)
საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი	(85,545)	(176,557)	(72,443)
ცვეთის ხარჯი	(99,680)	(85,939)	(124,629)
კომუნალურების ხარჯი	(47,593)	(59,291)	(77,839)
მარკეტინგული ხარჯი	(6,853)	(43,538)	(186,263)
რემონტის ხარჯი	(1,139)	-	(149,918)
სულ	**(1,682,694)**	**(2,885,180)**	**(4,432,293)**

6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები (კონსოლიდირებული)

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2020, 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019	2018
სახელფასო ხარჯი	(438,825)	(774,721)	(875,205)
სხვა ხარჯები	(130,594)	(311,589)	(35,925)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ხ	-	(78,752)	(103,853)
ცვეთის კორექტირების ხარჯი	-	(32,273)	-
საკონსულტაციო ხარჯი	(41,501)	(53,815)	(126,142)
კომუნიკაციის ხარჯები	(29,281)	(33,662)	(62,405)
საოფისე ხარჯები	(16,919)	(29,000)	(32,586)
ბანკის საკომისიოს ხარჯი	(21,020)	(26,062)	(39,765)
საგადასახადო ხარჯები გარდა მოგების გადასა	(40,038)	(15,393)	(158,574)
ცვეთის ხარჯი	(11,066)	(12,138)	(17,100)
კომუნალურების ხარჯი	(848)	(8,079)	(20,348)
რემონტის ხარჯი	(212)	-	(17,567)
სულ	**(730,305)**	**(1,375,483)**	**(1,489,470)**

7. ფინანსური ხარჯი (კონსოლიდირებული)

ფინანსური ხარჯი 2020, 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019	2018
საპროცენტო ხარჯი დაფინანსების კომპონენტზე	(360,000)	(238,368)	(169,488)
საპროცენტო ხარჯი		(4,618)	(51,853)
სულ	**(360,000)**	**(242,986)**	**(221,341)**

8. ძირითადი საშუალებები (კონსოლიდირებული)

ჯგუფის ძირითადი საშუალებები 2020, 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობა	ოფისის დანადგარები და ავეჯი	იჯარის კეთილმოწყობა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
2019 წლის ბოლოს მდგომარეობით	**166,768**	**817,699**	**437,816**	**19,212**	**19,012**	**1,158,846**
შესყიდვა, კაპიტალიზაცია,		3,714				
ჯგუფში შემოსვლა			6,629	17,081		
გადაფასების ნამეტი		515,792				
გასვლა			8,104	13,807		
2020 წლის ბოლოს მდგომარეოით	**166,768**	**1,337,206**	**436,341**	**22,486**	**19,012**	**1,158,846**
დაგროვილი ცვეთა						
2019 წლის ბოლოს მდგომარეობით	**-**	**78,362**	**72,210**	**3,295**	**7,483**	**168,194**
პერიოდის ცვეთის ხარჯი		40,102	59,229	317	235	**99,883**
პერიოდის ცვეთის ხარჯი			29	53		
გასული აქტივის დაგროვილი ცვეთა						**1,445**
2020 წლის ბოლოს მდგომარეობით	**-**	**118,464**	**131,469**	**3,665**	**7,718**	**266,632**
საბალანსო ღირებულება						
2019 წლის ბოლოს	**166,768**	**732,493**	**216,023**	**15,917**	**27,645**	**1,158,846**
2020 წლის ბოლოს	**166,768**	**1,218,741**	**304,872**	**18,821**	**11,294**	**1,720,496**

9. არამატერიალური აქტივები

ჯგუფის არამატერიალური აქტივები 2018 წლისთვის გაუფასურებულია სრულად.

10. მარაგები

ჯგუფი ყოველი წლის ბოლოს ტესტავს მარაგებს გაუფასურებაზე. შესაბამისად 2020, 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული მარაგები სრულად წარმოადგენს გასაყიდ პროდუქციას.

11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების კოეფიციენტი წარმოდგენილია შემდეგნაირად.

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების კოეფიციენტი 2020 წელი	%
0-91	0%
91-180	10%
181-365	50%
365	100%

კონსოლიდირებული სავაჭრო მოთხოვნები 2020, 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	**2019**	**2018**
მოთხოვნები	214,954	680,323	912,200
ანარიცხები ჩამოწერილ მოთხოვნებზე	17,115	253,390	
სავაჭრო მოთხოვნების ჩამოწერა ხარჯებში		(78,752)	(103,853)
სულ მოთხოვნები	**232,069**	**854,960**	**808,347**

12. ფული და ფულის ექვივალენტები (კონსოლიდირებული)

ფული და ფულის ექვივალენტები 2020, 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	**2019**	**2018**
ფული სალაროში	30,604	42,924	47,917
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	31,607	45,276	203,919
სულ	**62,211**	**88,200**	**251,836**

13. სესხები (კონსოლიდირებული)

გრძელვადიანი და მოკლევადიანი სესხები 2020, 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოადგენს ფიქსირებული პროცენტის მქონე სესხებს. სესხები სრულად აღებულია ურთიერთდამოკიდებული პირებისგან.

სესხების რეკონსილაცია 2020, 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019	2018
საწყისი ნაშთი	1,868,245	1,399,430	25,335
სესხების აღება	440,385	340,722	1,485,976
საპროცენტო ხარჯი	360,000	242,986	51,853
გადახდილი პროცენტი	-	(59,552)	(53,497)
სესხების დაფარვა	(24,080)	(84,120)	(141,265)
საკურსო სხვაობის გავლენა	317,618	223,783	31,028
საბოლოო ნაშთი	**2,962,168**	**2,063,249**	**1,399,430**

14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები (კონსოლიდირებული)

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2020, 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019	2018
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7,551,812	8,092,213	8,266,896
სახელფასო ვალდებულებები	390,034	382,953	203,751
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**7,941,846**	**8,475,166**	**8,470,647**

15. პირობითი ვალდებულებები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისთვის მშობელი კომპანიის წინააღმდეგ აღძრულია სასამართლო დავა სავაჭრო ვალდებულების ანაზღაურების შესახებ. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ფინანსურ ანაგრიშგებაში დავის შესახებ სრული ან ნაწილობრივი ინფორმაციის გამჟღავნება შესაძლოა უარყოფითად აისახოს საქმის წარმართვაზე, რის გამოც ხელმძღვანელობა არ ამჟღავნებს ინფორმაციას სასამართლო დავის შესახებ.

16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

COVID-19-ის პანდემიასთან დაკავშირებულმა გლობალური მოვლენებმა გავლენა მოახდინა ადგილობრივ კომპანიებზე, მათ შორის სახალხო აფთიაქზეც.

ქვეყანაში შექმნილმა არაორდინალურმა მდგომარეობამ გარკვეული ცვლილებები შეიტანა კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობაში, მაგრამ ჯგუფმა მოახერხა ქსელის გამართული და უსაფრთხო მუშაობა, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო რეგიონებში.

ჯგუფმა 2020 წელს შეამცირა ზარალი და უკვე შემდგომ საანგარიშო წელს (2021) მკვეთრად აუმჯობესებს ფინანსურ სურათს საოპერაციო კუთხით.

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2020 წლის --29- სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი ---------- პაპუნა ტოლიაშვილი

16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

COVID-19-ის პანდემიასთან დაკავშირებულმა გლობალური მოვლენებმა გავლენა მოახდინა ადგილობრივ კომპანიებზე, მათ შორის სახალხო აფთიაქზეც.

ქვეყანაში შექმნილმა არაორდინალურმა მდგომარეობამ გარკვეული ცვლილებები შეიტანა კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობაში, მაგრამ ჯგუფმა მოახერხა ქსელის გამართული და უსაფრთხო მუშაობა, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო რეგიონებში.

ჯგუფმა 2020 წელს შეამცირა ზარალი და უკვე შემდგომ საანგარიშო წელს (2021) მკვეთრად აუმჯობესებს ფინანსურ სურათს საოპერაციო კუთხით.

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2020 წლის --- სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი ---------- პაპუნა ტოლიაშვილი